საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ., №35
ტელ/ფაქსი: (+995 222) 7 17 82
ელ. ფოსტა: warmomadgenlobiti@mail.ru

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №04

ქ. ბათუმი **29 სექტემბერი, 2011 წ**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის რსუ–ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, რსუ-ს წესდების მე-10 მუხლისა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძ-ველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის რსუ–ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესი (დანართი 1).
2. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის სტიპენდი-ების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე” წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 3 დეკემბრის №04 და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერ-სიტეტის პირველი სასწავლო წლის სტუდენტთათვის სტიპენდიის დანიშნვისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 18 თებერვლის №05 გადაწყვეტილებები;
3. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს რსუ-ს ვებ-გვერდზე და გაზეთში ,,ბათუმის უნი-ვერსიტეტი“;
4. გადაწყვეტილება ძალაშია 2011–12 სასწავლო წლიდან.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი
სპიკერი **/კ. ქაშიბაძე/**

დანართი 1

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის
რსუ–ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესი

თავი I.
ძირითადი დებულებანი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს წესი არეგულირებს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში რსუ-ს) სტუდენტთათვის რსუ–ს სტიპენდიების დანიშვნასა და გაცემას;

2. რსუ–ს სტიპენდიები ენიშნებათ:

ა) რსუ–ს ბაკალავრიატის პირველი სასწავლო წლის იმ სტუდენტებს, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდებით სწავლის გაგრძელების უფლებას მოიპოვებენ განაცხადში (სარეგისტრაციო ანკეტაში) პირველ ნომრად მითითებულ აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებზე და, ამასთან, ვისაც მეოთხე დამატებით გამოცდაზე მიღებული აქვს ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა შორის ყველაზე მაღალი (სკალირებული) ქულა. სტიპენდია (ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით) გაიცემა პირველი სასწავლო წლის პირველი სემესტრის განმავლობაში 1 ოქტომბრიდან თებერვლის ჩათვლით პერიოდში. ხოლო მომდევნო სემესტრში (პირველი სასწავლო წლის მე-2 სემესტრი) სტიპენდიის გაცემა მოხდება იმავე პირობებით, როგორც ეს დადგენილია ამ წესის მე-2 პუნქტის ,,ბ" და ,,გ" ქვეპუნქტებით.

ბ) ,,ჩვეულებრივი სტიპენდია კარგოსნისათვის" (ყოველთვიურად 50 ლარის ოდენობით) – სწავლების მეორე წლიდან (მესამე სემესტრიდან) რსუ-ს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის იმ სტუდენტებს, რომლებიც გამოირჩევიან სწავლაში მიღწეული წარმატებით (ვისაც საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ სასწავლო კურსში აქვს შეფასება არანაკლებ „ძალიან კარგი"-სა). **(შეტანილია ცვლილება წარმომად. საბჭ. 2012 წლის 22 ივნისის №01 გადაწყვეტილებით)**

გ) ,,ჩვეულებრივი სტიპენდია ფრიადოსნისათვის" (ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით) – სწავლების მეორე სემესტრიდან, რსუ-ს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის იმ სტუდენტებს, რომლებიც გამოირჩევიან სწავლაში მიღწეული წარმატებით (ვისაც წინა სემესტრის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ სასწავლო კურსში აქვს შეფასება „ფრიადი"). **(შეტანილია ცვლილება წარმომად. საბჭ. 2012 წლის 22 ივნისის №01 გადაწყვეტილებით)**

დ) სახელობითი სტიპენდია" (ყოველთვიურად 150 ლარის ოდენობით) – სწავლების მეორე წლიდან (მესამე სემესტრიდან) ბსუ-ს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის იმ სტუდენტებს, რომლებსაც საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ დისციპლინებში ,,საშუალო შეწონილი'' ფურმულით მიღებული აქვთ 91 ქულა და მეტი და რომლებიც გამოირჩევიან აქტიური სამეცნიერო საქმიანობით (გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი შესაბამის სპეციალობაში ან არის სხვადასხვა სამეცნიერო ან სასწავლო კონფერენციების, სემინარების, სიმპოზიუმების და ა.შ. მონაწილე და აქვს მაღალი მიღწევები).

(საშუალო შეწონილის გამოთვლის ფორმულა;

$$\frac{A^1 \times B^1 + A^2 \times B^2 \ldots}{A^1 + A^2 \ldots}$$

A- საგნის კრედიტი, B - შეფასების ქულა;)

(შეტანილია ცვლილება წარმომად. საბჭ. 2014 წლის 05 სექტემბრის №13 გადაწყვეტილებით)

3. ,,ჩვეულებრივი სტიპენდია ფრიადოსნისათვის“ და ,,ჩვეულებრივი სტიპენდია კარგოსნისათვის“ გაიცემა სემესტრულად და ერთჯერადად, სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს 20 დღისა, ხოლო სტიპენდია ,,პირველი სასწავლო წლის სტუდენტთათვის“ (1 ოქტომბრიდან თებერვლის ჩათვლით) და ,,სახელობითი სტიპენდია“ (აგვისტოდან თებერვლის და მარტიდან - ივლისის ჩათვლით პერიოდში) გაიცემა სემესტრულად (ყოველთვიურად). **(შეტანილია ცვლილება წარმომად.საბჭ. 2013 წლის სექტემბრის №5 გადაწყვეტილებით)**

4. პირველი სასწავლო წლის სტიპენდიანტთა რაოდენობა განისაზღვრება შემ-დეგნაირად:

ა) განათლების ფაკულტეტზე –2 სტუდენტი;
ბ) სოციალური და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე –2 სტუდენტი;
გ) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე – 3 სტუდენტი;
დ) იურიდიული ფაკულტეტზე – 2 სტუდენტი;
ე) ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე – 5 სტუდენტი;
ვ) ტურიზმის ფაკულტეტზე – 3 სტუდენტი.
ზ) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე - 6 სტუდენტი;
თ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე - 4 სტუდენტი;
ი) ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე - 3 სტუდენტი;

ზ) ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე - 3 სტუდენტი; **(შეტანილია ცვლილება წარმომად.საბჭ. 2013 წლის 13 სექტემბრის №5 გადაწყვეტილებით)**

ამ პუნქტით განსაზღვრულ სტიპენდიანტთა ოდენობა შესაძლებელია გაიზარდოს, თუკი გამოვლინდება ერთიდაიმავე პირობების მქონე კანდიდატები.

5. რსუ-ს თითოეულ ფაკულტეტზე სახელობით სტიპენდიანტთა რაოდენობას და სტიპენდიის დასახელებას განსაზღვრავს რსუ-ს აკადემიური საბჭო შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით.

6. რსუ–ს სტიპენდიები არ ენიშნებათ:

ა) რსუ-ს მიმართ ფინანსური დავალიანების მქონე სტუდენტს (პირს, რომელმაც დადგენილ ვადაში ვერ გაიარა ადმინისტრაციული რეგისტრაცია) ;

ბ) სტუდენტს, რომელსაც სრულად არა აქვს ათვისებული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ეტაპისათვის გათვალისწინებული კრედიტები (გარდა გაცვ-ლითი პროგრამიდან დაბრუნებული სტუდენტისა, პროგრამებს შორის განსხვავე-ბული კრედიტების ასათვისებლად ფაკულტეტის მიერ განსაზღვრული გრაფიკის ამოწურვამდე);

7. სტუდენტს, მათ შორის სახელმწიფო სტიპენდიანტს, ერთდროულად ორი სხვადასხვა ან ერთიდაიმავე სახის სტიპენდია არ დაენიშნება, ხოლო თუკი დანიშ-ნული აქვს - მასზე გაიცემა იმ სახის სტიპენდია, რომელსაც თავად სტუდენტი აირ-ჩევს.

თავი II.
სახელობითი სტიპენდია

მუხლი 2. სახელობითი სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადება

1. სახელობითი სტიპენდიის მოსაპოვებლად სასწავლო სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს 30 დღისა, კონკურსს აცხადებს ფაკულტეტის საბჭო. განცხადება უნდა გამოქვეყნდეს რსუ-ს ვებ-გვერდზე ან/და ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე განაცხადების მიღების დაწყებამდე არანაკლებ 07 დღით ადრე, რასაც უზრუნველყოფს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატი.

2. საკონკურსო განცხადებების მიღება იწარმოებს 07 დღის განმავლობაში, კონკურსი კი ჩატარდება კონკურსის გამოცხადებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა.

3. კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს:

ა) კონკურსის პირობებს;

ბ) კონკურსანტისადმი წაყენებულ მოთხოვნებს;

გ) წარმოსადგენი საკონკურსო დოკუმენტაციის ნუსხას და პირობებს;

დ) განაცხადის (საკონკურსო დოკუმენტაციის) წარმოდგენის ვადასა და ადგილს;

4. საკონკურსო დოკუმენტაცია (დანართი 1) უნდა მოიცავდეს:

ა) განცხადებას კონკურსში მონაწილეობის შესახებ (დანართი 2);

ბ) სტუდენტის სასწავლო-სამეცნიერო ავტობიოგრაფიას (CV) (დანართი 3);

გ) სამეცნიერო კონფერენციის, სემინარის, სიმპოზიუმის და სხვ. ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობის (ორალური, სტენდური მოხსენება) დამადასტურებელი დიპლომის, სიგელის, სერტიფიკატის და სხვ. დედანს ან ნოტარიულად დამოწმებულ ასლს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) პირადობის მოწმობის ასლს;

ე) ცნობას სტუდენტის აკადემიური მოსწრების შესახებ;

ვ) სტუდენტის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომის დედანს ან დამოწმებულ ასლს;

ზ) არანაკლებ ერთ რეკომენდაციას რსუ-ს იმ პროფესორისაგან, რომელიც კარგად იცნობს პრეტენდენტის სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობას;

მუხლი 3. საკონკურსო კომისია

1. კონკურსანტთა განაცხადებისა და დოკუმენტების განხილვის მიზნით, რექტორის მიერ იქმნება საკონკურსო კომისია. კომისიის შემადგენლობაში შედიან: რექტორის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ფაკულტეტების დეკანები და თითოეული ფაკულტეტიდან სტუდენტური თვითმმართველობის ერთი წევრი (სტუდენტი). შესაძლებელია კომისიის წევრად მოწვეული იქნეს სხვა პირი (ექსპერტი) სათათბირო ხმის უფლებით.

2. კომისიას თავმჯდომარეობს რექტორის მოადგილე, ხოლო მდივანი აირჩევა ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით, კომისიის პირველივე სხდომაზე.

3. კომისიის სხდომა იმართება გამოცხადებული კონკურსის ვადების შესაბამისად. გადაწყვეტილებას კომისიის სხდომის მოწვევის შესახებ იღებს კომისიის თავმჯდომარე. საჭიროების შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარეს უფლება აქვს მოიწვიოს კომისიის რიგგარეშე სხდომა.

4. კომისიის სხდომებს ესწრებიან მხოლოდ კომისიის წევრები.

5. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის უმრავ-ლესობა.

6. კომისიის სხდომებს უძღვება კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფ-ნის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც აირჩევა ასევე ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით, კომისიის პირველივე სხდომაზე.

7. საკონკურსო კომისია:

7.1. ისმენს ფაკულტეტების მდივნების მოხსენებას შემოსული საკონკურსო განცხადებებისა და დოკუმენტაციის შესახებ და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე იბარებს მათ;

7.2.ამოწმებს:

ა) სრულად არის თუ არა წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი;

ბ) არის თუ არა ყველა საჭირო დოკუმენტი შედგენილი შესაბამისი ფორმისა და რეკვიზიტების დაცვით (უფლებამოსილი პირის ხელმოწერა, საჭიროების შემთხვევაში ბეჭდით დამოწმება, თარიღის მითითება და სხვა);

გ) შეესაბამება თუ არა საკონკურსო დოკუმენტაციის მონაცემები ამ წესის მოთ-ხოვნებს.

7.3. საკონკურსო დოკუმენტაცია საკონკურსო კომისიის მიერ **არ განიხილება** (არ შეფასდება) შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ კონკურსანტის მიერ არ არის წარმოდგენილი ყველა საჭირო დოკუმენტი ან/და ინფორმაცია;

ბ) თუ პრეტენდენტის მიერ ინფორმაცია/დოკუმენტები წარმოდგენილი არ არის შესაბამისი ფორმის დაცვით (ხელმოწერა, ბეჭედი, ნოტარიული დამოწმება და ა.შ.)

გ) თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი მონაცემები (დოკუმენტები) არ შეე-საბამება სინამდვილეს (ყალბი აღმოჩნდა), რაც დასტურდება რსუ-ში არსებუ-ლი გარკვეული სახის მტკიცებულებებით.

დ) თუ პრეტენდენტს დანიშნული აქვს რომელიმე სახის სტიპენდია;

ე) თუ პრეტენდენტს აქვს ფინანსური დავალიანება;

7.4. შემოწმების პროცედურის დასრულების შემდგომ კომისია ადგენს იმ გა-ნაცხადების (საკონკურსო დოკუმენტაციების) სიას, რომლებიც ამ წესის მოთხოვ-ნათა შესაბამისად არ ექვემდებარება განხილვას. აღნიშნული სია კომისიის სხდომის დასრულებისთანავე გამოქვეყნდება შესაბამისი ფაკულტეტის საინფორმაციო და-ფაზე, რის შესახებაც ეცნობება რსუ-ს რექტორს;

7.5. ამ წესითა და კონკურსის გამოცხადების შესახებ აქტით განსაზღვრულ ვა-დებში კომისია აფასებს განხილვას დაქვემდებარებული განცხადებებს (საკონკურსო დოკუმენტაციებს) და კონკურსის შედეგს (გადაწყვეტილებას) წარუდგენს რსუ-ს რექტორს.

მუხლი 4. საკონკურსო განაცხადების და დოკუმენტაციის წარდგენის წესი

1. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს საკონკურსო განაცხადი და დოკუმენტაცია ერთ ეგზემპლარად;

2. საკონკურსო განცხადებების (დოკუმენტაციის) მიღებასა და რეგისტრაციას (მიღების თარიღისა და დროის მითითებით) აწარმოებს შესაბამისი ფაკულტეტის მდივანი, რომელიც საკონკურსო განცხადებების მიღების ვადის დასრულების შემ-დეგ მათ გადასცემს საკონკურსო კომისიის მდივანს.

3. თითოეულ პრეტენდენტს (კონკურსანტს) აქვს მხოლოდ ერთი განაცხადის წარდგენის უფლება.

4. საკონკურსო დოკუმენტაციის წინამდებარე წესის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია კონკურსანტი.

5. საკონკურსო დოკუმენტაცია მდივანს ბარდება დანომრილი სახით. ამასთან, განცხადებაში უნდა მიეთითოს თანდართული საკონკურსო დოკუმენტაციის ფურცლების რაოდენობა.

6. განაცხადი (საკონკურსო დოკუმენტაცია) მდივნის მიერ მიიღება მხოლოდ კონკურსის გამოცხადების შესახებ რსუ-ს აქტით განსაზღვრულ ვადაში.

7. პრეტენდენტს უფლება აქვს განაცხადების (საკონკურსო დოკუმენტაციის) მიღების ვადის დასრულებამდე წარმოადგინოს განაცხადში (საკონკურსო დოკუმენტაციაში) ცვლილებების შეტანის თაობაზე განცხადება.

მუხლი 5. კომისიის გადაწყვეტილება და სახელობითი სტიპენდიის გაცემა

1. კომისია თითოეულ კონკურსანტს აფასებს ღია კენჭისყრით, დამსწრე წევრთა უბრალო უმრავლესობით.

2. კომისიის ყოველ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. კენჭისყრის შედეგად ხმების თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

3. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

4. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე რსუ-ს რექტორი გამოსცემს ბრძანებას სახელობითი სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე.

5. სტიპენდიის გაცემის საფუძველს წარმოადგენს რსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება სახელობითი სტიპენდიის გაცემის თაობაზე.

თავი III.
ჩვეულებრივი სტიპენდიები და სტიპენდია პირველი სასწავლო წლის სტუდენტთათვის

მუხლი 6. სტიპენდიების დანიშვნა

1. სასწავლო სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა, შესაბამისი ფაკულტეტების დეკანების მიერ მოწოდებული მონაცემებისა და ამ წესის მოთხოვნათა გათვალისწინებით, რსუ-ს რექტორი გამოსცემს ბრძანებას ამ თავით განსაზღვრული სტიპენდიების დანიშვნის შესახებ.

2. ფაკულტეტების დეკანების მიერ მოწოდებული მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) პირველი სასწავლო წლის სტიპენდიანტობის კანდიდატ სტუდენტთა სიას;

ბ) „ჩვეულებრივი სტიპენდია ფრიადოსნისათვის“ მიმღებ კანდიდატთა სიას;

გ) „ჩვეულებრივი სტიპენდია კარგოსნისათვის“ მიმღებ კანდიდატთა სია;

3. რექტორის ბრძანების საფუძველზე რსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გამოსცემს ბრძანებას წარჩინებულ სტუდენტთათვის ჩვეულებრივი სტიპენდიის გაცემის შესახებ.

მუხლი 7. სტიპენდიის გაცემის შეწყვეტა

1. ფაკულტეტის დეკანის ან რსუ–ს საფინანსო–ეკონომიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე რექტორი გამოსცემს ბრძანებას სტიპენდიანტისათვის სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე აქტის ძალადაკარგულად/ბათილად ცნობის შესახებ, თუ აღმოჩნდება, რომ სტიპენდიის დანიშვნის შესახებ რექტორის აქტის მომზადების დროისათვის ან/და დანიშვნის შემდეგ პერიოდში სტუდენტი ვერ აკმაყოფილებდა სტიპენდიის დანიშვნისათვის ამ წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2. სტუდენტის აკადემიური მოსწრების შესახებ წარდგენილ მონაცემთა სიზუს-ტეზე პასუხისმგებელია შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი.

დანართი 1

კონკურსზე წარსადგენი დოკუმენტაციის საკონტროლო ნუსხა

	წარსადგენი საკონკურსო დოკუმენტები	**ეგზემპლართა რაოდენობა**	**დოკუმენტის სისწორის ნოტარიული დამოწმება**
1	სტუდენტის სასწავლო/სამეცნიერო ავტობიოგრაფია (CV);	1	*არ არის სავალდებულო*
2	სამეცნიერო კონფერენციის, სემინარის, სიმპოზიუმის და სხვ. ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობის დამადასტურებელი დიპლომ(ებ)ის, სიგელ(ებ)ის, სერტიფიკატ(ებ)ის და სხვ. ასლ(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	1	*სავალდებულოა*
3	პირადობის მოწმობის ასლი	1	*არ არის სავალდებულო*
4	ცნობა აკადემიური მოსწრების შესახებ (სახელობითზე ,,საშუალო შეწონილი'' ფურმულით მიღებული,,ქულის'' მითითებით)	1	*არ არის სავალდებულო*
5	გამოქვეყნებულ ნაშრომ(ებ)ის ასლები	1	*სავალდებულოა*
6	სარეკომენდაციო წერილი	1	*არ არის სავალდებულო*

შენიშვნა: *მე-2 გრაფაში აღნიშნული დოკუმენტების დამოწმება შესაძლებელია შესაბამისი საუნივერსიტეტო სამსახურების მიერ, თუკი სამეცნიერო კონფერენცია, სემინარი, სიმპოზიუმი და სხვ. ღონისძიება ჩატარდა ბსუ-ში, ხოლო დოკუმენტის დედნის წარმოდგენის შემთხვევაში არ არის სავალდებულო ნოტარიუსის მიერ დამოწმებული ასლის წარმოდგენა.*

დანართი 2

განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორს, ბატონ ალიოშა ბაკურიძეს

1.	**სახელი, გვარი**	
2.	**პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი და პირადი ნომერი:**	
3.	**დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი):**	
4.	**დაბადების ადგილი (ქალაქი, ქვეყანა):**	
5.	**ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი/ რეგისტრაციის ადგილი (მისამართი):**	
6.	**ტელეფონი::**	
7.	**ელექტრონული ფოსტა:**	
8.	**ფაკულტეტი , საფეხური :**	
9.	**სპეციალობა:**	

მოგახსენებთ, რომ <u>გავეცანი</u> რა ბსუ–ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესს, გთხოვთ, მიიღოთ ჩემი განცხადება სახელობითი სტიპენდიის მოსაპოვებლად გამოცხადებულ კონკურსში.

განცხადებას თან ერთვის:

1) პირადობის მოწმობის ასლი;

2) ცნობა - სტუდენტის აკადემიური მოსწრების შესახებ. (სახელობითზე საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ დისციპლინებში ,,საშუალო შეწონილი'' ფურმულით მიღებული ქულის შესახებ.)

3) სტუდენტის სასწავლო/სამეცნიერო ავტობიოგრაფია (CV);

4) სამენიერო კონფერენციის, სემინარის, სიმპოზიუმის და სხვ. ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობის დამადასტურებელი დიპლომი, სიგელი, სეტიფიკატი და სხვ. დე-დანი/ნოტარიულად დამოწმებულ ასლი ----- ფურცელი; (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

5) გამოქვეყნებული ნაშრომების ასლები ---- ფურცელი;

6) სარეკომენდაციო წერილი;

ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ მოწოდებული ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს. ამასთანავე, თანხმობას ვაცხადებ : ა) ბსუ-მ ნებისმიერ დროს გადაამოწმოს მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტე. ბ) არასწორი ან ყალბი მონაცემების (დოკუმენტაციის) დადგენის (აღმოჩენის) შემთხვევაში ჩემი განაცხადი არ განიხილოს საკონკურსო კომისიამ ან თუ დანიშნული მექნება სტიპენდია, შემიწყდეს ვადაზე ადრე.

_____ _____ განმცხადებლის

ხელმოწერა: თარიღი:

დანართი 3

სასწავლო/სამეცნიერო ავტობიოგრაფია (CV)

1. სახელი, გვარი
_____

2. ———————————————————————— ფაკულტეტი,

	ჩარიცხვის წელი	განათლების საფეხური და სპეციალობა	შენიშვნა
1			
2			

3. სემესტრის განმავლობაში მიღებული შეფასებები:

	სემესტრი	სასწავლო კურსი/მოდული	შეფასება	შენიშვნა
1				
2				

4. პუბლიკაციების რაოდენობა: ——————, მათ შორის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში ——————, —————————— (ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში)

5. პუბლიკაციების ჩამონათვალი კონკურსანტის შეხედულებისამებრ

	წელი	პუბლიკაციის დასახელება	გამომცემლობა	პუბლიკაციის სახე (სტატია და სხვა)
1				
2				

6. სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა

	წელი	ღონისძიების დასახელება	მოხსენების სათაური	ღონისძიების ჩატარების ადგილი
1				
2				

7. დამატებითი ინფორმაცია სურვილისამებ
_____

ხელმოწერა

(შეტანილია ცვლილება წარმომად. საბჭ. 2014 წლის 05 სექტემბრის №5 გადაწყვეტილებით)